**<u>ხელშეკრულება №120100/10/035</u>**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

ქ. თბილისი 9 თებერვალი, 2012 წელი

ერთის მხრივ ქ. თბილისის მერიის სსიპ „საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო" (შემდგომში – შემსყიდველი), სააგენტოს უფროსის მოადგილის – კობა ბრეგვაძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. **„Z&Z"** (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი დირექტორის ზვიად ნაზარიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### *1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი*

1.1 ხელშეკრულების საგანია ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, **39200000 – ავეჯეულობის** შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

1.2 შესყიდვის ობიექტის ჩამონათვალი, ერთეულის ფასები მოცემულია ხელშეკრულების დანართში და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.3. ქვეკატეგორიის კოდები: 39224300; 39224320; 39224200; 39224350; 39224340

### *2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 2270 (ორი ათას ორას სამოცდაათი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

### *3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი*

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

### *4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები*

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 დღის ვადაში.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

4.4 მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ციხცაძის ქ. №6.

### *5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირს წარმოადგენს: მატ.ტექ. უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ლევან მახათაძე.

### [illegible]

6.1 [illegible]

6.2 [illegible] თანაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6.4 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

### *7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

**7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:**

- შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

**7.2 შემსყიდველი ვალდებულია:**

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

**7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:**

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

### *8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზეც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.

8.3. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების/შეტყობინების შემდეგაც არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების საერთო/ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### *9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 მაისის ჩათვლით.

### *10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი*

10.1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

### *11. ფორს-მაჟორი*

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

### *12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### *13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### *14. სხვა პირობები*

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

### *15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

| <u>შემსყიდველი:</u> | <u>მიმწოდებელი:</u> |
|---|---|
| **ქ. თბილისის მერიის სსიპ „საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო"** | **შ.პ.ს. „Z&Z"** |
| მის: ქ. თბილისი, ცინცაძის ქ. №6 | მის: ქ. თბილისი, სანზონა, კორპ. 10-ე. ბ.7; |
| სს „ლიბერთი ბანკი" | საიდ კოდი: 439392701 |
| კოდი: LBRTGE22 | ტელ: 599222422; 593358853 |
| ა/ა GE96LB0121112812802000 | ელექტრონული მისამართი: |
| ს/კოდი: 205296990 | z.nasaridze@gmail.com |
| | ს.ს. „საქართველოს ბანკი" |
| | ბანკის კოდი: BAGAGE22 |
| | ანგ №: GE07BG0000000524870400 |
| **უფროსის მოადგილე** | **დირექტორი** |
| **ქ. ბრეგვაძე** | **ზვიად ნასარიძე** |

დანართი

## №120100/10/035 ხელშეკრულების დანართი
## ფასების ცხრილი

| № | საქონლის დასახელება და ძირითადი მახასიათებლები (ტექნიკური პირობები) | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | ცოცხი, ნატურალური მასალით | ცალი | 60 | 4,00 | 240,00 |
| 2 | ცოცხი აქანდაზით, პლასტმასის დაახლოებით 1მ სახელურით | ცალი | 20 | 13,00 | 260,00 |
| 3 | ღრუბელი, აბრაზიული ფენით 68x90x31(мм) | ცალი | 200 | 0,50 | 100,00 |
| 4 | იატაკის საწმენდი ჯოხი, დაახლოებით 1.5მ სახელურით | ცალი | 30 | 6,00 | 180,00 |
| 5 | იატაკის გასახეხი ჯაგრისი დაახლოებით 1.5მ ხის სახელურით | ცალი | 5 | 8,00 | 40,00 |
| 6 | იატაკის საწმენდი ტილო | ცალი | 180 | 1,20 | 216,00 |
| 7 | ფანჯრის საწმენდი ტილო | ცალი | 160 | 2,00 | 320,00 |
| 8 | ავეჯის გასაწმენდი ტილო | ცალი | 70 | 0,20 | 14,00 |
| 9 | აქანდაზი, პლასმასის, მოკლე სახელურით | ცალი | 60 | 5,00 | 300,00 |
| 10 | რეზინის ხუთთითიანი ხელთათმანი, გრძელი მანჟეტით 10-15სმ L; XL ზომის | ცალი | 180 | 2,00 | 360,00 |
| 11 | სათლი, პლასტმასის, 10 ლტ ტევადობის | ცალი | 15 | 4,00 | 60,00 |
| 12 | სანაგვე ყუთი, პლასტმასის 10 ლტ | ცალი | 15 | 4,00 | 60,00 |
| 13 | ჯაგრისი ჭერის გასაწმენდი, დაახლოებით 2მ სახელურით, მსუბუქი | ცალი | 10 | 12,00 | 120,00 |

სულ ჯამი: 2270,00

**შემსყიდველი:**

ქ. თბილისის მერიის ხსიპ „საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო"

მის: ქ. თბილისი, ცინცაძის ქ. №6
სს „ლიბერთი ბანკი"
კოდი: LBRTGE22
ა/ა GE96LB0121112812802000
ს/კოდი: 205296990

უფროსის მოადგილე
კ. ბრეგვაძე

**მიმწოდებელი:**

შ.პ.ს. „Z&Z"
მის: ქ. თბილისი, სანზონა, კორპ. 10-ვ. ბ.7;
საიდ. კოდი: 439392701
ტელ: 599222422; 593358853
ელექტრონული მისამართი:
z.nasaridze@gmail.com
ს.ს. „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ №: GE07BG0000000524870400

დირექტორი
ზვიად ნასარიძე